**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის**

**ოქმი №4**

**05/09/2025 წელი** **ქ. ბათუმი**
**12⁰⁰ საათი.**

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პარმენ ჯალაღონია.**

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ტარიელ გოგიტიძე** - უსკოს მდივანი;
**ნოდარ მელაძე** - უსკოს წევრი;
**ირაკლი გვარჯალაძე** - უსკოს წევრი;
**მარიამ გუგუნავა** - უსკოს წევრი;
**ციალა შავაძე** - უსკოს წევრი;
**თამარ ქამადაძე** - უსკოს წევრი.

**არ ესწრებოდა:**

**ზაალ ზაალიშვილი -** უსკოს წევრი.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულ კომისიის წევრებს, ნოდარ მელაძეს, ირაკლი გვარჯალაძეს და მარიამ გუგუნავას მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებად არჩევა და წარმატებული საქმიანობა უსურვა, რის შემდეგაც კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

## **დღის წესრიგის პროექტი:**

**1. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

**2. სხვადასხვა.**

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

## **დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

**1. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

**1. განკარგულება**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

მოადგილის ვაკანსიის წარმოქმნის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, კომისიის წევრთაგან უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, რის შემდეგაც საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, კომისიას სთხოვა არანაკლებ კომისიის 2 წევრს დაესახელებინა კომისიის მდივნის კანდიდატურა.

**აზრი გამოთქვეს:** ტარიელ გოგიტიძემ და მარიამ გუგუნავამ.

ტარიელ გოგიტიძემ და მარიამ გუგუნავამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს ნოდარ მელაძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე, ნოდარ მელაძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

*კენჭისყრის შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩა – ნოდარ მელაძე.*

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**1.** არჩეული იქნეს ნოდარ მელაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

**2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, ნოდარ მელაძეს, მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა და მას წარმატებული საქმიანობა უსურვა.

ნოდარ მელაძემ, მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე მისი კანდიდატურის წარდგენისთვის, მხარდაჭერისა და ნდობის გამოცხადებისთვის.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**კომისიის თავმჯდომარე** **პარმენ ჯალაღონია**

**კომისიის მდივანი** **ტარიელ გოგიტიძე**